პროექტი

საქართველოს მთავრობის

განკარგულება N

2021 წ. **ქ. თბილისი**

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N273 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N273 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მოქალაქე მაია გომურისა (პ/ნ: 16001029282) და მოქალაქე გიორგი სულაშვილისათვის (პ/ნ: 01027040982) შეუფერხებელი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად, სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებული მათი და მათი თანმხლები პირების არასამედიცინო ხარჯების დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გამოუყოს 58 000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარი.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N273 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტზე

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

როგორც ცნობილია, მოქალაქე მაია გომური (პ/ნ 16001029282) და მისი თანმხლები პირი (და-მზია გომური) მიმდინარე წლის 1 მარტს გაემგზავრნენ სამკურნალოდ გერმანიაში, სადაც მათი დარჩენა დაგეგმილი იყო 15 მარტის ჩათვლით, მაგრამ ოპერაციის თარიღის ცვლილების გამო, საჭირო გახდა მათი გერმანიაში დარჩენა 25 მარტის ჩათვლით. აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით 10 დღის განმავლობაში სასტუმროში განთავსების ხარჯი შეადგენს 600 ევროს (შესაბამისი კურსით ლარში), დღიური ხარჯი 1 200 ევროს (შესაბამისი კურსით ლარში), ავიაბილეთის თარიღის ცვლილებისა და სამოგზაურო დაზღვევის ხარჯი შეადგენს - 245 ლარს. ჯამურად, აღნიშნული თანხა შეადგენს დაახლოებით 7 445 ლარს. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის N273 განკარგულებით გამოყოფილი 52 000 ლარიდან რესურსის სახით დარჩენილია 1 535 ლარი, დასამატებელი თანხის ოდენობა შეადგენს 5 910 ლარს.

ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ

პროექტი არ გამომდინარეობს ,,ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება

პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

პროექტის მოსალოდნელი შედეგები

პროექტის მეშვეობით მოხდება მოქალაქეების შეუფერხებელი სამედიცინო დახმარების მიღების უზრუნველყოფა.

პროექტის განხორციელების ვადები

განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდება 2021 წლის განმავლობაში.

პროექტის .ავტორი და წარმდგენი

პროექტის ავტორია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

პროექტის წარმდგენია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.